საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

საქართველო, 0128, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Chavchavadze av., 0128 Tbilisi, Georgia

ტელეფონი: +995 32 220241 Tel: +995 32 220241
ფაქსი: +995 32 225107 Fax: +995 32 225107

N 85 "15" ივნ 2005 წ.

საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ კახა ლომაიას

ბატონო კახა,

მოგმართავთ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამასთან - „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" დაკავშირებით, რომლის ღრმა ენობრივ-კულტურული და საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივი ღირებულებანი უკანასკნელი წლების განმავლობაში არაერთხელ დადასტურდა სხვადასხვა სამეცნიერო თუ სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან და რომლის მიზნობრივი დაფინანსების საკითხი დღესაც არ არის გადაწყვეტილი.

ბატონო კახა, საკითხის მნიშვნელობიდან გამომდინარე საჭიროდ ვთვლით მოგაწოდოთ მოკლე ინფორმაცია აღნიშნული სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის თაობაზე.

პროექტი შემუშავდა 2001 წელს ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის ლოგიკისა და ენის ქართულ ჯგუფში კ. ფხაკაძის ხელმძღვანელობით;

2002 წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის წარდგინებით პროექტი დამტკიცდა სახელმწიფო მიზნობრივ პროგრამად. პროექტის რეკომენდატორთა შორის იყვნენ: ზოგადი და გამოყენებითი ენათმეცნიერების კათედრის გამგე, აკადემიკოსი თამაზ გამყრელიძე, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორი, აკადემიკოსი გუჩა კვარაცხელია, მათემატიკური უზრუნველყოფისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების კათედრის გამგე, პროფესორი ჰამლეტ მელაძე, მათემატიკის დაფუძნების და მეთოდიკის კათედრის გამგე, პროფესორი თამაზ თევზაძე და სხვა. საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის იმდროინდელი თავმჯდომარე, აკადემიკოსი ნოდარ ამაღლობელი აღნიშნავდა: „მისი (პროექტის) აქტუალობა დღეს არავითარ ეჭვს არ იწვევს, რადგან ეს არის ქართული ენის, როგორც კულტურული ფენომენის შენარჩუნება-გადარჩენის, მისი განვითარებისა და შესწავლის გაღრმავების საშუალება და ეროვნული ცნობიერების განმტკიცების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გზა. ამ ჭეშმარიტად ეროვნულ საქმეს საერთო მხარდაჭერა და თანადგომა სჭირდება.";

2002 წელს ი. ვეკუას სახ. გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის მხარდაჭერით ჩამოყალიბდა ღია საუნივერსიტეტო სემინარი „ლოგიკა, ენა გამომთვლელი" (სემინარს ხელმძღვანელობს კ. ფხაკაძე);

2003 წელს ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს გადაწყვეტილებითა და მიზნობრივი პროგრამის ინტერესების გათვალისწინებით გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტში იმავე სახელწოდებით გაიხსნა ცალკე სამეცნიერო-საკვლევი თემა (ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე);

2004 წელს სოროსის ცენტრალური ფონდის მხარდაჭერით ინსტიტუტში დაფუძნდა „ცენტრალური ევროპის უნივერსიტეტისა და ბარბარა პართის სახელობის წიგნთა ფონდი - „ლოგიკა, ენა, გამომთვლელი". ამავე პროექტის ფარგლებში სტუდენტებისათვის ჯგუფმა მოამზადა და გამოსცა „დამატებითი საკითხავი კურსი თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში" (192 გვ.);

2004 წელს „ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფისა" და კავშირის „საქართველო და მსოფლიო გლობალიზაცია" (ხელმძღვანელი კ. გაბუნია) გაერთიანებით ჩამოყალიბდა „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფი", რაც თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტურ სამეცნიერო სფეროში აუცილებელი ადგილობრივი თანამშრომლობითი პროცესებისაკენ გადადგმული პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯია;

2004 წელს „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფში" შემუშავებული პროგრამის საფუძველზე მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭომ „მათემატიკის დაფუძნებისა და სწავლების მეთოდიკის კათედრა" გააფართოვა „მათემატიკური და ბუნებრივ ენათა ლოგიკის" სპეციალიზაციით;

2003-2005 წლებში მიზნობრივი პროგრამით გათვალისწინებულ კვლევით პროცესებში უკვე ჩაერთო ერთი ასპირანტი, ორი მაგისტრი და მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტის ხუთი პირველკურსელი სტუდენტი, რაც ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო სფეროს უკვე დაწყებული ფორსირებული და აუცილებელი დაფუძნების პროცესისათვის მეტად მნიშვნელოვანია;

2005 წლის 7-14 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტთან ერთად გაერთიანებულმა ჯგუფმა ორგანიზება გაუკეთა ქართული ენის დღისადმი მიძღვნილ პირველ ყოველწლიურ რესპუბლიკურ სასემინარო კვირეულს „ლოგიკა, ენა, ინფორმატიკა", რაც ბუნებრივია არსებითად შეუწყობს ხელს ჩვენთვის ახალი ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო სფეროს ფორსირებული ფორმირებისა და ინტეგრაციის პროცესს;

2005 წელს უნივერსიტეტებში სამეცნიერო კვლევების ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში დახურული რეცენზირებით დადებითად გადაწყდა პროგრამის მათემატიკური ნაწილის ბიუჯეტური დაფინანსების საკითხი, რითაც, ორმოცდაათწლიანი დაგვიანებით, ქართულ მათემატიკურ სივრცეში ფუნდამენტურად მკვიდრდება თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო სფერო, რაც „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის" (ხელმძღვანელი კ. ფხაკაძე) ხუთწლიანი მოღვაწეობის მნიშვნელოვანი შედეგია.

თუმცა, უნდა აღინიშნოს ისიც, რომ განხილვის პროცესში, გამომდინარე საკონკურსო წესებიდან, ბუნებრივია, სათანადო მოცულობით ვერ იქნა გათვალისწინებული თემატიკის ვერც ფუნდამენტური ქართველოლოგიური ინტერესები და ვერც ის, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ამ ტიპის პროცესებისათვის ქვეყანაში არსებული უმძიმესი პირობების მიუხედავად ჯგუფმა შეძლო საქართველოში ახალი მეცნიერული მიმართულების როგორც სამეცნიერო, ისე სასწავლო თვალსაზრისებით დაფუძნებისაკენ მნიშვნელოვანი ნაბიჯების გადადგმა.

ამასთან, დეპარტამენტში მიმდინარე კონკურსის მათემატიკური სპეციფიკის გამო დაფინანსების არეში არ მოექცა მიზნობრივი პროგრამისა და „ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფის" არამათემატიკური შემადგენლები, რაც ქმნის საშიშროებას წლების განმავლობაში თანამშრომლობითი პროცესების ხარჯზე უკვე ჩამოყალიბებული ინტერდისციპლინარული ჯგუფის დაშლისა. - ეს კი, იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე ქართული ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო სფეროს ფორმირების პროცესი მხოლოდ ახლა იწყება, რაც ზოგადი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისებით ამ უმნიშვნელოვანეს სამეცნიერო სფეროში ჩვენთან არსებულ და ზემოთ უკვე ხაზგასმულ ორმოცდაათწლიან ჩამორჩენას გულისხმობს, დაუშვებელია.

თუ არ მივიღებთ მხედველობაში გაერთიანებულ ჯგუფში არსებული ძალების მცირე ოდენობას და ქართულ ენობრივ-აზროვნებით სისტემაზე ჯგუფში უკვე გამოკვეთილ სასაფუძვლო ხასიათის პირველ თეორიულ ხედვებს, ჯერჯერობით, ბუნებრივი ქართული ენა ლოგიცისტური (ლოგიკურ-ლინგვისტური) და ფსიქოლოგიცისტური (ფსიქოლოგიკურ-ლინგვისტური) თვალსაზრისებით შეუსწავლელია და, შესაბამისად, საქართველოში ჯერ კიდევ არ არსებობენ ისეთი სპეციალისტები, რომლებსაც თანაბრად აქვთ როგორც ლოგიკურ-მათემატიკური, ისე ლინგვისტურ-ენათმეცნიერული კომპეტენცია. არადა,

დასავლეთში, უკვე ორმოცდაათ წელზე მეტია ზოგადი ენობრივ-კულტურული თვალსაზრისებით ამ მეტად მნიშვნელოვან სამეცნიერო სფეროში პროცესები ძირითადად სწორედ ასეთ სპეციალისტებს მიჰყავთ.

ხაზგასასმელია ისიც, რომ ლოგიცისტური და ფსიქოლოგიცისტური კადრების ზემოაღნიშნული ნაკლულობა და ქართულ ენობრივ სისტემაზე ამ ტიპის თეორიული ხედვების არარსებობა მნიშვნელოვან პრობლემებს ჰქმნის საქართველოში ზოგადი ენობრივ-აზროვნებითი უნარების განვი- რებაზე პრიორიტეტულად ორიენტირებული თანამედროვე სასწავლო სისტემის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად დამკვიდრებაში, რაც მიზნობრივი პროგრამით მოხაზული კვლევების აქტუალობის განმსაზღვრელი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ 2005 წლის საბიუჯეტო პროცესისას ზემოთ აღნიშნულ მიზნობრივ პროგრამასთან დაკავშირებით გამოკვეთილ იქნა სრული სამთავრობო მხარდაჭერა. მხედველობაში გვაქვს:

1. ამონარიდი განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილის, ქალბატონ ბელა წიფურიას 01-16-09/5340 01.11.2004 წერილიდან, რომლითაც მან უპასუხა საქართველოს კანცელარიიდან სამინისტროში შესულ ფ/3446 09.09.04. წერილს: „სამინისტრო მხარს უჭერს იმ თვალსაზრისს, რომ პროექტით მოხაზული მიმართულებით კვლევების არგანვითარების შემთხვევაში, ქართულ ენას დეკულტურიზაციის საშიშროება ემუქრება.

გარდა ამისა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში აღნიშნულ საკითხთა განხილვისას გამოიკვეთა, რომ ქართულ ენობრივ სისტემაში პროექტით გათვალისწინებული მონტეგიუსეული ლოგიკურ-ლინგვისტური კვლევები ფუნდამენტური მნიშვნელობისაა ენობრივ-აზროვნებით უნარ ჩვევების განვითარებაზე ორიენტირებული სწავლების ოპტიმალური და მიზნობრივი წარმართვისათვის, რაც კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია პროექტისადმ. სამინისტროს მიერ ზემოთ გამოხატული სრული მხარდაჭერისა.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო აღნიშნული პროგრამის ბიუჯეტურ დაფინანსებას, გამომდინარე მისი აქტუალობიდან, ყოველმხრივ უჭერს მხარს" (იხ. დანართი)

2. პროექტისადმი ინტერესი გამოიკვეთა მიმდინარე სასკოლო რეფორმის ფარგლებშიც: ამონარიდი ეროვნული სასწავლო გეგმებისა და სახელმძღვანელოების განყოფილების ხელმძღვანელის, ბატონ სიმონ ჯანაშიას წერილიდან: „ყოველივე ამის გათვალისწინებით, ჩვენ ყოველმხრივ მხარს ვუჭერთ ამ ჯგუფის მიერ ქართული ენის ლოგიკურ-ლინგვისტურ კვლევას. ასევე ჩვენ უკვე დავიწყეთ თანამშრომლობა ამ კვლევების შედეგების გათვალისწინების შესახებ ეროვნულ სასწავლო გეგმებში. იმედი გვაქვს, რომ ამ ჯგუფს საკმარისი საშუალება ექნება, რომ კიდევ უფრო ფართო მასშტაბიანი სამუშაოები ჩაატაროს ეროვნული სასწავლო გეგმების შემმუშავებელ საგნობრივ ექსპერტებთან ერთად" (იხ. დანართი).

3. ამონარიდი საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარის, ბატონ ნოდარ გრიგალაშვილის წერილიდან: „კომიტეტი მიესალმება გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტის სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" განხორციელებას და მხარს უჭერს მის პირდაპირ მიზნობრივ დაფინანსებას" (იხ. დანართი).

4. ამონარიდი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წერილიდან: „წარმოდგენილ პროგრამაში დასმული საკითხები მნიშვნელოვანი და მეტად აქტუალურია. ამასთან, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მიზნობრივი პროგრამის დაფინანსება უნდა განხორციელდეს „საქართველოს 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის პროექტით საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროსათვის გათვალისწინებულ ასიგნებათა ფარგლებში" (იხ. დანართი).

ამგვარად, გამომდინარე იქიდან, რომ სუბორდინაციულად საკითხის გადაწყვეტა თქვენი სამინისტროს კომპეტენცია და გამომდინარე იქიდანაც, რომ საკითხის მნიშვნელობა და აქტუალობა არავითარ ეჭვს არ იწვევს, რამდენადაც ის, რომ „პროექტით მოხაზული მიმართულებით კვლევების არგანვითარების შემთხვევაში, ქართულ ენას დეკულტურიზაციის საშიშროება ემუქრება" არის ვითარების არა გადაჭარბებული, არამედ რეალური შეფასება, გთხოვთ ან სექტემბრიდან 2005 წლის ბიუჯეტის დაზუსტებისას ან, უკიდურეს შემთხვევაში, 2006 წლის ბიუჯეტის ფორმირებისას გამოყოთ საბიუჯეტო ასიგნება აღნიშნული პროგრამის სახელმწიფო მიზნობრივი დაფინანსებისათვის, რაც „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფს", რომელმაც თავისი მაღალი კომპეტენცია უკვე დაადასტურა ლოგიკურ-ლინგვისტური ხასიათის თანამედროვე დონის თეორიული ნაშრომებითა თუ მაღალი ინტელექტ ,ალური

სირთულეების მქონე ისეთი პროგრამული რეალიზაციებით, რომლებსაც ჯერ-ჯერობით საქართველოში ანალოგები არ გააჩნია, საშუალებას მისცემს თანამშრომლობით რეჟიმში გააგრძელოს მუშაობა მიზნობრივი პროგრამით მოხაზული შემდგომი საფეხურის ამოცანების გადასაჭრელად.

ამასთან, რამდენადაც, ამ მეტად მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პასუხისმგებლობა გადმოდის თქვენზე, წინამდებარე მომართვას თან ვურთავთ პროგრამასთან დაკავშირებულ ახალ რეალობათა ამსახველ ფაქტობრივ მასალას და პროექტის ხელმძღვანელის მცირე საინფორმაციო წერილს.

ბატონო კახა, იმედი გვაქვს, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაითვალისწინებს საკითხის აქტუალობას და მხარს დაუჭერს საერთო ქართულ კულტურულ ღირებულებათა შრეში მდებარე სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ბიუჯეტურ დაფუძნებას. მით უფრო, რომ ამგვარი პროექტები ჩვენი ტიპის ქვეყნებში, როგორც წესი, სპეციალური სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამების ფარგლებში ფინანსდება, რაც, ცხადია, ერთიანი ცენტრის არსებობის შემთხვევაში არათუ გამორიცხავს, არამედ, პირიქით, ფუნდამენტურად ითვალისწინებს მიმართულების სახელმწიფოებრივ მონიტორინგსაც.

პატივისცემით,

რექტორის მოადგილე, პროფესორი /დ. გორდეზიანი/

სამეცნიერო კვლევების დეპარტამენტის
დირექტორი, პროფესორი /ნ. ფლიაშვილი/

გმი დირექტორი, პროფესორი /დ. გორდეზიანი/

ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფი
თბილისი, უნივერსიტეტის ქუჩა 2, ოთახი 227, ტელ. 325929/303581
. ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

UNITED GEORGIAN GROUP OF LOGIC AND LANGUAGE
GEORGIA,043, TBILISI, UNIVERSITY ST. 2, TEL. 325929
I. VEKUA INSTITUTE OF APPLIED MATHEMATICS

25 მაისი 2005წელი N 08

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრს,
ბატონ კახა ლომაიას

ბატონო კახა,

გლობალური ხასიათის მეცნიერული და ტექნოლოგიური პროცესები მხოლოდ იმ მოცულობით შეიძლება წარმოადგენდნენ შემაშფოთებელ გარემოებებს სხვადასხვა ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ერთეულებისათვის, რა მოცულობითაც ეს პროცესები გადიან უნივერსალური მეცნიერული ჩარჩოებიდან და, შესაბამისად, ექცევიან ვიწრო ენობრივ-სპეციფიკური ხასიათის მეცნიერულ ჩარჩოებში. ბუნებრივ ქართულ ენობრივ სისტემაზე მეცნიერული თვალსაზრისები უფრო მეტი მოცულობით ენობრივ-სპეციფიკური ხასიათისაა, ვიდრე უნივერსალური. ამდენად, ბუნებრივ ენათა ტექნოლოგიზაციით უკვე გლობალურად მოხაზული ამოცანების გადაწყვეტა ქართულისათვის არის არა უნივერსალური, არამედ სპეციფიკური ხასიათის პრობლემა, თანაც ისეთი, რომლის გადაწყვეტაც მხოლოდ ჩვენ ხელგვეწიფების. - ამის უბრალო მიზეზი ქართული ენის ბუნების მხოლოდ ჩვენთან არსებულობაა იმ სიღრმისეული გონებითი ქვეცნობიერობით, რაც ენას არა გრამატიკულ, არამედ ანთროპოლოგიურ მოვლენად აყალიბებს.

წინამდებარე მომართვას თან ახლავს დანართი, რომელიც მოკლედ ასახავს თქვეთან განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის - ,,კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში'' ხუთწლიან ისტორიას. აღნიშნულით ცხადად იკვეთება მიზნობრივი პროგრამის როგორც ღრმა ენობრივ-კულტურული ღირებულებები, ისე წლების განმავლობაში სხვადასხვა სამეცნიერო თუ სახელმწიფო ინსტიტუტების მხრიდან უკვე მკაფიოდ გამოკვეთილი სრული მხარდაჭერა, რაც პროგრამის განსაკუთრებული აქტუალობისა და მნიშვნელობის პირდაპირი შედეგია.

ამჯერად, ჩვენ შევეცდებით მოკლედ შევაჯამოთ პროგრამის პირდაპირი მიზნობრივი დაფინანსების აუცილებლობის განმსაზღვრელი ძირითადი მიზეზები:

I. **პროექტის ძირითადი კულტურული და მეცნიერული სიახლე არის ის, რომ იგი პირველი მცდელობაა საქართველოში და, შესაბამისად, ქართული ენის ფარგლებში თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური სამეცნიერო მიმართულებით კვლევების დამკვიდრება-განვითარებისა.** ამ ფუნდამენტური ხასიათის თეორიული და პრაქტიკული ღირებულებების მქონე თვალსაზრისებით, ქართული ენა ფაქტიურად შეუსწავლელია. არადა, ბუნებრივი ენების მანქანებთან საურთიერთობო ენებად მოდიფიცირება უწინარესად ამ ენების მკაცრი ლოგიკურ-ლინგვისტური ანალიზის

საფუძველზე მათი მათემატიკური ტიპის ფორმალურ-ინტელექტუალურ სისტემებად გადააზრების აუცილებლობას ითვალისწინებს. ეს კი ნებისმიერი კერძოდ აღებული ბუნებრივი ენობრივი სისტემისათვის (მათ შორის, ქართული ბუნებრივი ენობრივი სისტემისათვის) დიდი მოცულობისა და მაღალი სირთულის ამოცანას წარმოადგენს. ასეთი ამოცანების გადაჭრა მოითხოვს წლების განმავლობაში ინტენსიური თეორიული კვლევებისა და პრაქტიკული რეალიზაციების ცენტრალიზებული და ურთიერთშეთანხმებული მიმდინარეობის ორგანიზებას. - **აქ კომერციული აქცენტების წინ წამოწევა პრობლემის გაუცნობიერებლობის შედეგია! - პირიქით, საკითხთა სიმძაფრიდან და ზოგადი ეთნო-კულტურული ეკოლოგიური ინტერესებიდან გამომდინარე, წამყვანი ქვეყნები და საერთაშორისო ორგანიზაციები შესაბამისი ყურადღებით ეკიდებიან და მაქსიმალურად მხარს უჭერენ მინორიტი (ანუ, თანდათანობითი დაკნინებისა და დავიწყების საშიშროების წინ მდგომი) ენებისა და კულტურების შენარჩუნების მიზნით ამ სიღრმისეული პრობლემების გადაწყვეტისათვის ადგილობრივად მიმდინარე მოძრაობებს. - სწორედ ამ სიღრმისეული მნიშვნელობებისა და სირთულეების გამოა, რომ ამ მიზნით კვლევები ჩვენი ტიპის ქვეყნებში სპეციალური სახელმწიფო პრიორიტეტული პროგრამების სტატუსით მიმდინარეობს და რომ მათ განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ყურადღება ექცევათ.**

II. **თქვენთან განსახილველად წარმოდგენილი სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ძირითადი პრაქტიკული მიზანი არის ქართული ენით კომპიუტერთან სრული და თავისუფალი ბუნებრივ-ენობრივი ურთიერთობის დამყარება.** სხვაგვარად ამას ბუნებრივი ენობრივი სისტემების მანქანებთან ინტელექტუალური ურთიერთობის ენად მოდიფიცირების პრობლემასაც უწოდებენ. ეს ეპოქალური ხასიათის ამოცანა არსებითად განაპირობებს თანამედროვე მათემატიკურ ლინგვისტიკაში დღეს არსებულ მეცნიერულ ტენდენციებს. ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის ფორმირება ამ ტენდენციებზე ადგილობრივი რეაგირების აუცილებლობით იყო განპირობებული. ჩვენ ამ მიმართულებით, სულ ცოტა ორმოცდაათწლიანი დაგვიანებით, მხოლოდ ახლა ვიწყებთ მოძრაობას. ხომსკი-მონტეგიუსეულმა ინტერდისციპლინარულმა ლოგიკურ-ლინგვისტურმა ხაზმა, რომელიც დღეს უკვე ფუნდამენტურ და, ამავდროულად, ინტენსიურად განვითარებად მეცნიერულ მიმართულებადაა ჩამოყალიბებული, თავის დროზე ფეხი ვერ მოიკიდა საქართველოში. **არადა, თუ ჩვენ ვერ შევძლებთ ქართული ენისათვის აქ არსებული ამოცანების გადაწყვეტას, მაშინ ბუნებრივ ენათა ტექნოლოგიზაციის მიმართულებით უკვე მიმდინარე საერთო ცივილური ხასიათის გლობალურ პროცესთა პერსპექტიულ ჭრილში ჩვენ ვერ შევძლებთ აგრეთვე ქართული ენის შენარჩუნებას** მისი **სასწავლო, სამეცნიერო, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ფუნქციებით.**

III. **აღსაზრდელში ზოგადი ენობრივ-აზროვნებითი უნარ-ჩვევების გამომუშავება და მათი თანდათანობითი გაღრმავება სასკოლო რეფორმით პრიორიტეტულად მონიშნულ მიზანთა შორის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია. მაგრამ, როგორ შევძლოთ ეს, თუ მანამდე ჩვენ თვითონ არ გვექნება ამგვარი სწორი ენობრივ-აზროვნებითი პროცესების მარეგულირებელი და მათი შიდა-ორგანული, ენობრივ-ლოგიკური კანონმდებლობის განმსაზღვრელი საზოგადოდ სრული და მეცნიერულად დასაბუთებული წესთა ნუსხა? - ანუ, რამდენად ნაყოფიერი იქნება მონიშნული მიზნით ჩვენი მოძრაობა, თუ მანამდე ვერ შევძლებთ სისტემური და მეცნიერულად დასაბუთებული ხედვების ჩამოყალიბებას იმ საგანზე, რომელსაც საზოგადოდან გამომდინარე, ჩვენს შემთხვევაში, ქართული** ენის ლოგიკა **უნდა ვუწოდოთ?**

პროექტის ფარგლებში ,,ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფი'' დასავლეთში უკვე აპრობირებული ფორმალურ-ლოგიკური მეთოდოლოგიით ინტენსიურად მუშაობს ქართული ენის სრულ მათემატიკურ ლოგიკურ-ლინგვისტურ აღწერაზე. ბუნებრივი ქართული ენობრივი სისტემის წარმოდგენა ფორმალურ-ლოგიკური ინტელექტუალური სისტემის სახით ჯგუფის ერთ-ერთი ძირითადი მიზანია. ეს იმას ნიშნავს, რომ ლოგიკისა და ენის ქართული ჯგუფის ფარგლებში მიმდინარე კვლევების შედეგად ჩვენ საშუალება გვეძლევა მარტივი და მკაცრი მათემატიკური პრინციპების საფუძველზე მეცნიერულად დაფუძნებულად ვისაუბროთ ქართული ენის ზოგად ლოგიკურ წესთწყობაზე, რაც რეფორმით პრიორიტეტულად მოხაზული სასწავლო სისტემისათვის

ფუნდამენტური მნიშვნელობისაა. ქართული ენის ლოგიკაზე მეცნიერული ხედვების ფორსირებული ფორმირება და მერე უკვე მათი სასწავლო მიზნებთან შეწონასწორებული მეთოდური გადამუშავება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათემატიკისა და ქართული ენის ახალი სასკოლო კურსების ზოგადი უნარების ტესტირებით განსაზღვრულ ორიენტირებთან შეჯერებული სწავლებისათვის და ამ ახალი მოთხოვნების შესაბამისად მასწავლებლების მომზადება-გადამზადებისათვის, რაც კიდევ ერთი დამადასტურებელი პაქტორია პროექტის მიმართულებით მიზნობრივად ორგანიზებული მოძრაობის საჭიროებისა.

პატივისცემით,

ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის ხელმძღვანელი, /კ. ფხაკაძე/

ლოგიკისა და ენის გაერთიანებული ქართული ჯგუფისა და სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის თანახელმძღვანელი, ფილ. მეც. დოქტორი /კ. ვაბუნია/

UNITED GEORGIAN GROUP OF LOGIC AND LANGUAGE
205038733

საქართველოს
განათლებისა
და მეცნიერების
სამინისტრო

პროექტი
ილია ჭავჭავაძე

№ 137 „06“ აპრილი 2005 წ.

რ ე ც ე ნ ზ ი ა

„მათემატიკური და ბუნებრივი ენების ზოგადი ლოგიკური საფუძვლები“ (ბ. პარტის, ა. მიულერისა და რ. უოლშის წიგნიდან - „თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის საფუძვლების“) თარგმანზე

გავეცანით ბ. პარტის, ა. მიულერისა და რ. უოლშის „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ზოგადი ლოგიკური საფუძვლების“ ქართულ თარგმანს. წიგნი უაღრესად აქტუალურია არა მხოლოდ მათემატიკოსებისათვის (კერძოდ, მათემატიკური ლოგიკის), არამედ ფილოლოგიური განხრის სპეციალისტებისთვის. აღსანიშნავია, რომ დღესდღეობით, პრაქტიკულად, არანაირი ყურადღება არ ექცევა ენის ლოგიცისტური დამუშავების პრობლემებს, რაც დიდ უხერხულობას ქმნის ჰუმანიტარულ ფაკულტეტებზე. მიგვაჩნია, რომ როგორც იურისტებისთვის, ასევე ლინგვისტებისთვის აუცილებელია თანამედროვე მათემატიკური ლინგვისტიკის უახლესი მონაპოვრების გაცნობა-ათვისება. წინააღმდეგ შემთხვევაში, კვლავ დავრჩებით საგნობრივ იზოლაციაში და შეუძლებელი გახდება საერთაშორისო სტანდარტებზე ჩვენი როგორც მათემატიკური, ასევე ჰუმანიტარული დარგების გაყვანა.

განათლების სისტემის რეფორმის კონტექსტში ამ პროექტის განხილვა ასევე აქტუალურია: ლოგიკური აზროვნების განვითარების გარეშე, ლოგიკურად გამართული ენობრივი აზროვნების გარეშე დღეს უკვე წარმოუდგენელია თანამედროვე მასწავლებელი. ამ თვალსაზრისითაც წიგნი საჭირო და აუცილებელია პედაგოგთა სექტორისთვის თანამედროვე მოთხოვნებით მასწავლებლის ჩამოსაყალიბებლად.

რეკომენდაციას ვაძლევთ ამ პროექტზე მომუშავე ჯგუფს (ხელმძღვანელი - კ. ფხაკაძე) რომ ეს წიგნი გამოქვეყნდეს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ.

პატივისცემით

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს პროექტ „ილია ჭავჭავაძის“
მათემატიკის ჯგუფის კოორდინატორი
/ზაქარია გიუნაშვილი/

განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს პროექტ „ილია ჭავჭავაძის“
ქართული ენისა და ლიტერატურის ჯგუფის კოორდინატორი
/კახა გაბუნია/

თბილისი 0102, დიმიტრი უზნაძის ქ. №52; ტელეფონი: 95 98 37 ფაქსი 95 83 13
52, Dimitri Uznadze Street, Tbilisi 0102, Phone: (995 32) 95 98 37 Fax: (995 32) 95 83 13

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY

საქართველო, 0128, თბილისი, ჭავჭავაძის გამზ. 1
1, Chavchavadze av., 0128 Tbilisi, Georgia

ტელეფონი: +995 32 220241 Tel: +995 32 220241
ფაქსი: +995 32 225107 Fax: +995 32 225107

N _____ "3" 08 2005 წ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის მათემატიკის ინსტიტუტის დირექტორს
ბატონ რამაზ ბოჭორიშვილს

ბატონო რამაზ,

გამომდინარე უნივერსიტეტის მიზნობრივი პროგრამის - „კომპიუტერის სრული პროგრამულ-მომსახურეობითი მოქცევა ბუნებრივ ქართულ ენობრივ გარემოში" (ხელმძღვანელი მთავრი მეცნიერ-თანამშრომელი კ. ფხაკაძე) მაღალი აქტუალობიდან, რაც ქართული ენის თანამედროვე ლოგიკურ-ლინგვისტური მეთოდებით შესწავლის აუცილებლობას უკავშირდება, მნიშვნელოვნად მიმაჩნია უნივერსიტეტში „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ლოგიკის" სპეციალიზაციის დაფუძნებით დაწყებული პროცესის განვითარება. ეს, იმის გათვალისწინებით, რომ თანამედროვე მათემატიკური, ლოგიკურ-ლინგვისტური თვალსაზრისებით ქართული ენა თითქმის შეუსწავლელია, მეტად მნიშვნელოვანია. აღნიშნული სპეციალიზაციით გათვალისიწინებული სწავლება მნიშვნელოვანია აგრეთვე ზოგადი უნარების განვითარებაზე და ამ უნარების ტესტირებაზე პრიორიტეტულად ორიენტირებული სასკოლო რეფორმის ჭრილშიც.

გთხოვთ, საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ინსტიტუტის კონტურების ფორმირების ფორსირებულად მიმდინარე პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინოთ ზემოაღნიშნული, რაც, ბუნებრივია, შემდგომში ამ მიმართულებით პროცესთა გაღრმავების მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

პატივისცემით,

რექტორის მოადგილე, პროფესორი /ლ. გორდეზიანი/

შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი
National Assessment and Examinations Center

№ _____ "_____" _____ 2005

რ ე ც ე ნ ზ ი ა

გავეცანით „ლოგიკისა და ენის გაერთიანებულ ქართულ ჯგუფში" მომზადებულ ბ. პარტის, ა. ტერ მიულენისა და რ. უოლშის წიგნის - „მათემატიკური მეთოდები ლინგვისტიკაში" პირველი ორი ნაწილის თარგმანს, რომელიც ერთიანდება სათაურით - „მათემატიკური და ბუნებრივი ენების ზოგადი ლოგიკური საფუძვლები".

ზოგადი უნარების ტესტირება და მასთან დაკავშირებული ზოგადი უნარების განვითარება მიზნად ისახავს მათემატიკური და ბუნებრივ-ენობრივი საშუალებებით მოწოდებული ინფორმაციის ადეკვატური აღქმისა და დამუშავების, ლოგიკური მსჯელობის, მოვლენათა შორის არსებითი მიმართებების წვდომის ჩვევების ჩამოყალიბება-გაღრმავებას. ეს ყველაფერი არსებითად ემყარება როგორც მათემატიკისთვის დამახასიათებელ ზოგად ლოგიკურ ხედვებს, ისე იმ ენობრივი სისტემის ლოგიცისტურ და ფსიქოლოგიცისტურ თავისებურებებს, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობს სასწავლო პროცესი. აქედან გამომდინარე, სარეცენზიოდ წარმოდგენილი ნაშრომი, რომელშიც ძირითადად განიხილება მათემატიკური და ბუნებრივი ენების ურთიერთმიმართებანი და მათი როგორც ზოგადი, ისე კერძო ენობრივი თავისებურებანი, მეტად აქტუალურია, მით უფრო, რომ, სამწუხაროდ, ქართულ ენაზე ჯერ კიდევ არ არსებობს ანალოგიური ხასიათის საუნივერისტეტო სახელმძღვანელო კურსი. გარდა ამისა, უდაოა, რომ დღეს უკვე მიმდინარე რეფორმით განსაზღვრულ პრიორიტეტულ ინტერესთა ჭრილში ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო კურსი საჭირო და აუცილებელია მათემატიკისა და ენის დისციპლინების გასწვრივ თანამედროვე მოთხოვნათა შესაბამისი პედაგოგთა სექტორის ჩამოსაყალიბებლად.

ამგვარად, რეკომენდაციას ვუწევთ ამ კურსზე მომუშავე ჯგუფს (ხელმძღვანელი - კ. ფხაკაძე), რომ ეს წიგნი გამოქვეყნდეს საუნივერსიტეტო სახელმძღვანელოდ.

ზოგადი უნარების ჯგუფის ხელმძღვანელი

სოფიო დოლიძე

თბილისი 0102, ჯავახიშვილის ქ.60
ტელ: 95 98 25 ფაქსი: 96 80 78

60 Javakhishvili st. 0102 Tbilisi, Georgia
Tel.: (995 32) 95 98 25 Fax: (995 32) 96 80 78